სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №87

ქ. ბათუმი 17 ივლისი, 2017 წ.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი"-ს შესაბამისად, **(გამარტივებული შესყიდვა),** ერთის მხრივ **ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლევან ჭანუყვაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს "აგრო ტექნიკა"** წარმოდგენილი მისი დირექტორის **მზია მიქელაძის** სახით, (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს (CPV_42600000 ჩარხები) ბენზო ხერხის ნაწილების შესყიდვა (შემდგომში _ "საქონელი").

1.2 შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და ფასი განისაზღვრება დანართის (დანართი №1-ის) შესაბამისად, რომელიც ერთვის თან ხელშეკრულებას და არის მისი განუყოფელი ნაწილი.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს საქონელი მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ შემოწმების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

2.2 შემსყიდველი ვალდებულია:

შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელის ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებაში დადგენილი წესითა და პირობებით.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს **50,00 (ორმოცდაათი) ლარს** (შემდგომში – ,,ხელშეკრულების ღირებულება").

3.2 შემსყიდველი მიმწოდებლისათვის საქონლის ღირებულების ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისი სასაქანლო ზედნადების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, გადარიცხვის ფორმით, **საბიუჯეტო სახსრებიდან.**

3.3 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

3.4. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მისაწოდებელი საქონლის მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს მიუწოდებელი საქონლის მოცულობების ანაზღაურებაზე.

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
4.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5. უფლებების გადაცემა
მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა
6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, შესრულების ვადების დაგვიანებისა ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელოშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, ვადის გადამცილებელი მხარე ვალდებულია ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით აუნაზრაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ი.
6.3. იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცილებისათვის გადახდილი ან/და გადასახდელი პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრუ-ლების მთლიანი ღირებულების 2%-ს, მაშინ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე წყდება.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო
7.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ;
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
7.4. 7.3. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
8.1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის იურისტი ლელა მჟავანაძე (პ/ნ 61001064671) ხელშეკრულების მოქმდების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება შესაბამისი ბრძანებით მიანიჭოს ა(ა)იპ – "ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"-ს სხვა თანამშრომელს

(თანამშრომელთა ჯგუფს), შემსყიდველის მხრიდან მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის თანხმობას.
8.2. შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ნებისნიერ ეტაპზე აქვს უფლება განახორციელოს ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი და ასევე მომსახურების ხარისხზე პერიოდული ინსპექტირება კანონდებლობით შესაბამისად.

9. მიღება-ჩაბარება
9.1. საქონლის მიღება-ჩაბარება ფორმდება ფაქტიურად მიღებული საქონლის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენით, რომელსაც ადასტურებს ხელშეკრულების ორივე მხარე შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
9.2. შემსყიდველი ამოწმებს საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობას. თუ შესყიდვის ობიექტი (საქონელი) არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარე შეადგენს შესაბამის აქტს.
9.3. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს **იმედა ირემაძე (№61003004349).**

10. ფორს-მაჟორი
10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარეთა პასუხისმგებლობას ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან (თუ იგი გამოწვეული იყო მესამე პირის ბრალეული მოქმედებით, უბედურება, ხანძარი, ომი, მთავრობის დადგენილება ან მიმწოდებელთან შექმნილი ავარიული სიტუაცია და სხვა).
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს თავისი ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. შეტყობინება
12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

14.გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15.გარანტია

15.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

15.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის გამოყენების პროცესში წარ¬მოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესა¬ბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 ეგზემპლიარად, რომლის ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო 2 ხელშეკრულების ეგზემპლარი რჩება შემსყიდველთან.

16.2. მისამართის ან მომსახურე ბანკის რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 10 დღის განმავლობაში აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ -"ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"	**შპს "აგრო ტექნიკა"**
მისამართი: ქ.ბათუმი, გენ. ა. აბაშიძის ქ.№14	მისამართი: ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ., N 118
საიდენტიფიკაციო კოდი: 445391941	საიდენტიფიკაციო კოდი: 445411796
ტელეფონი: (0422) 29 43 49	ტელეფონი: (995)555 66 46 22
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს ''სს პროკრედიტ ბანკი“
მიმღების ბანკი- ერთიანი ხაზინა	
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: MIBGGE22;
ანგარიშის №: GE62TB7901736010100015	ანგარიშის №: GE83PC0163600100012852
სახაზინო კოდი 740727499	
დირექტორი:	**დირექტორი:**
ლევან ჭანუყვაძე	**მზია მიქელაძე**

დანართი № 1

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი(ლარი)	მთლიანი ფასი(ლარი)
1	ცილინდრ პორშინი	ცალი	1	15	15
2	ჯაჭვური ტანი	ცალი	1	25	25
3	კარბურატორი	ცალი	1	10	10
სულ					50

შემსყიდველი

ა(ა)იპ -"ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"

საიდენტიფიკაციო კოდი: 445391941

დირექტორი:

ლევან ჭანუყვაძე

მიმწოდებელი

შპს "აგრო ტექნიკა"

საიდენტიფიკაციო კოდი: 445411796

დირექტორი:

მზია მიქელაძე